

შპს ევრომშენი

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

01.01.2020 – 31.12.2020

ბათუმი
29.09.2021 წელი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ევრომშენი“ რეგისტრირებულია საქართველოში ქალაქი ბათუმი აკაკი წერეთლის N40, კომპანიას ჰყავს ხუთი დამფუძნებელი როლანდ ცეცხლაძე 61004057633 25 %, ლევან კუკულაძე 61001035661 12,5 %, ცისანა გოგიბერიძე 61001019073 12,5 %, ოთარ სოლომონიძე 61009000296 25%, ბადრი შავაძე 61009012003 25 % და ორი დირექტორი მერაბ მოსიძე 61005005179 ოთარ სოლომონიძე 61009000296.

კომპანიის საქმიანობის სფეროა სამშენებლობა, იგი აშენებს მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს კომერციული ფართით, მისამართი ბათუმი აკაკი წერეთლის 32. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას ჰყავს შვილობილი კომპანია შპს „ევრო-პალასი-გონიო“ 445488302 სადაც იგი არის 100 % წილის მფლობელი. შვილობილი კომპანიის საქმიანობის სფერო ასევე მშენებლობაა ის აშენებს სასტუმროს ტიპის მრავალსართულიან საცხოვრებელ კომპლექსს სადაც განლაგებულია საცხოვრებელი და კომერციული ფართები, აუზითა და მიწისქვეშა ავტო სადგომით, მისამართი ბათუმი ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N39.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანია ფინანსური მონაცემების მიხედვით მიეკუთვნება მესამე ჯგუფის საწარმოს, იგი ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებად აღრიცხავს სამშენებლო საქმიანობისათვის შეძენილი მიწის ნაკვეთებს, საჭირო ცალკეულ ინსტრუმენტებს, მექანიკურ მოწყობილობებს, საოფისე ინვენტარსა და ავეჯს, რასაც ერიცხება ამორტიზაცია მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად. კომპანია თავისი საქმიანობის ხარისხიანად შესრულებისათვის საჭირო ძირითად საშუალებებს (სპეც ტექნიკა, სამშენებლო დგარები და ა.შ) იყენებს მეკავშირე საწარმოებისაგან მიღებული მომსახურებებით რაზედაც ფორმდება მიღება-ჩაბარებები და იწერება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურები.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლებისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

მარაგები

კომპანიის მარაგების ანგარიშზე აღირიცხება მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებისათვის განხორციელებული სამშენებლო მასალების შესყიდვების ღირებულება რაც კონსოლიდირებულად შეადგენს 5698202, აღნიშნული შენობების ასაშენებლად კომპანია

ინტენსიურად აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს, ყიდულობს სამშენებლო მასალებსა და მომსახურებებს, რაც აღირიცხება კომპანიის საბალანსო ანგარიშებზე, გროვდება ვიდრე შენობის დასრულებამდე და ქმნის სამშენებლო პროექტით განსაზღვრული სასარგებლო ფართის ერთეულის თვითღირებულებას. სარეალიზაციო ფართის თვითღირებულება განისაზღვრება სამშენებლო პროექტში მოცემული საცხოვრებელი კომპლექსის შემადგენელი ელემენტების კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით საბოლოო მდგომარეობამდე გაწეული დანახარჯების ერთობლიობით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია ნასყიდობის ხელშეკრულებისა და წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში არეგისტრირებს მესაკუთრეებსა და მომავალ მესაკუთრეებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის სავაჭრო მოთხოვნების კონსოლიდირებული თანხაა 1,041,257 ლარი.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი.

კომპანიას წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებების მოქმედების ფარგლებში მიღებული აქვს საავანსო თანხები რაც აღირიცხება საბალანსო ანგარიშების ვალდებულებების ნაწილში.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას ერიცხება საბანკო ვალდებულება 1771804 ლარი, რაც უცხოური ვალუტის EURO-ს პირობითი ერთეულია ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 659,764 ეუროს. საბანკო სესხი კომპანიას მიღებული აქვს 2019 წლის ნოემბერში წლიური 5,5% განაკვეთით.

ამონაგები

საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ამონაგებია 2,383,492. ამონაგები ფართის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება როდესაც მყიდველს მიეწოდება ფართი და გადაეცემა საკუთრების უფლება. კომპანია სარეალიზაციო ფასის შეთავაზებას განახორციელებს ეროვნულ ვალუტაში თუმცა სახელშეკრულებო ღირებულებები განისაზღვრება აშშ დოლარის პირობით ერთეულში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ამონაგებია 2,383,492. საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავანსის გადაფასება არ ხდება აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიის ფინანსურ აღრიცხვაზე საკურსო სხვაობები ავანსის თანხებიდან გავლენას არ ახდენს

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძვნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული ფინანსური განაცემი არ განუხორციელებია შესაბამისად არ აღერიცხება მოგების გადასახადი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის წინაშე დადგა ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობის გამო გამოწვეული სირთულეები.

ფინანსურის ანგარიშგების წარდგენის მომენტისათვის კომპანიაში მიმდინარეობს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს აუდიტის სამსახურის აუდიტორების მიერ შემოწმება.

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	199287	150455
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1041257	757970
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5698202	4331973
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	1747012	1735969
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	818802	1107648
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	9504560	8084015
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	2918479	2343056
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1771804	2036216
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	633574	630457
სულ ვალდებულებები	5323857	5009729
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1491705	1835242
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2688998	1239044
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	4180703	3074286
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	4180703	3074286
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9504560	8084015

	31/12/2020	31/12/2019
საქმიანობის შედეგები	2383492	1876289
ნეტო ამონაგები	2300740	1716736
საქონლის გაყიდვიდან	81418	159378
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	1334	175
სხვა	0	0
საბოლოო მარაგები	2383492	1876289
საერთო მოგება	365	0
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-9783	-3992
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	0
საპროცენტო შემოსავალი	0	-719539
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-924020	-598561
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-933438	-1322092
სულ საოპერაციო ხარჯები	1450054	554197
საოპერაციო მოგება		
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	1450054	554197
ოპერაციებიდან	0	0
მოგების გადასახადის ხარჯი	1450054	554197
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	1450054	554197
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	1450054	554197
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	0	0
მოგება / (ზარალი)	1450054	554197
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი	1450054	554197
შემოსავალი	0	0
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	1450054	554197
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	3074286	1734452
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა',	0	785637
კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-343637	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	4180703	3074286
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2908301	2153427
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2936184	7729847
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-5795653	-9837046
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	48832	46228
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	150455	104227
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	199287	150455

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორების მიერ 30.09.2021.

მერაბ მოსიძე



ოთარ სოლომონიძე



ანგარიშსწორების შევსებაზე პასუხისმგებელი პირი:

ბუღალტერი: მარინე წითელაძე-მოსიძე

